შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (10.158)

15—22 თებერვალი 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გრძელდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს განსახორციელებელი პროექტების გამოვლენის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო. საერთო კრებები 7 თებერვალს ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში ჩატარდა, სადაც მოსახლეობას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი შეხვდნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ამჯერად 256 000 ლარი გამოეყო დედოფლისწყაროს სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის. ჩვენს ბიუჯეტს საშუალება აქვს, რომ მინიმუმ ამდენი კიდევ დაამატოს საკუთარი ბიუჯეტიდან და ნახევარი მილიონ ლარზე მეტი განაწილდეს სოფლებზე. გააჩნია, კრებების დასრულების შემდეგ რა პრიორიტეტები შეირჩევა. თუ ისეთ საკითხებს დაასახელებს მოსახლეობა, რომელიც საჭირო და აუცილებელია, მზად ვართ 100% კი არა 120% და კიდევ უფრო მეტიც დავამატოთ. სავარაუდოდ, 600 000 ლარის ოდენობაზეა საუბარი. კიდევ ერთხელ ეძლევა თვითმმართველობას შესაძლებლობა, რომ ამომრჩეველთან და სოფლის მოსახლეობასთან ერთად ვიმსჯელოთ პრობლემებზე და გადავწყვიტოთ, რა სამუშაოები ჩატარდეს ამა თუ იმ სოფელში, რომ მათი ყოველდღიურობა გაუმჯობესდეს. მიხარია, რომ გასულ წლებში კარგი პროექტების განხორციელება შევძელით და შედეგად უფრო გაძლიერებული სოფელი მივიღეთ. წინა წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგ სოფელში ბავშვთა გასართობი სივრცეების მოწყობას ითხოვენ, ზოგან საბავშვო ბაღების ეზოების რეაბილიტაციას, ზოგან გარე განათების, ან სასაფლაოების მესერის მოწყობას. ამჟამად დედოფლისწყაროს მასშტაბით აბსოლუტურად ყველა სოფელში და ყველა უბანში გვაქვს გარე განათება. თუმცა, ზოგან მოძველებულია და მათი განახლება ხდება ლედ ტიპის თანამედროვე სანათებით. გასულ წელს საქართველოს მასშტაბით პრაქტიკულად პირველებმა დავასრულეთ სოფლის პროგრამის სამუშაოები. გვინდა, რომ ახლაც მალე მოვრჩეთ, დროულად ვაქციოთ პროექტებად და შევუდგეთ სამუშაოებს. დარწმუნებული ვარ სექტემბერში უკვე დავასრულებთ ყველა სამუშაოს. 15 დასახლებული პუნქტია დედოფლისწყაროში და ეს არცთუ ისე მცირე თანხაა საამისოდ, რომ მნიშვნელოვანი საქმეების კეთება შევძლოთ“.

ზემო ქედი

არხილოსკალო

„შირაქმა“ ამის აღმოფხვრა მოითხოვეს. თუმცა, სოფლის პროგრამით ეს საკითხი ვერ გადაიჭრება და ამ ხარვეზს წყალმომარაგების კომპანია საკუთარი თანხებით აღმოფხვრის. ასევე დაისვა სოფლის სასაფლაოზე წყლისა და ელექტროენერგიის შეყვანის საკითხი. თუმცა, საბოლოო ჯამში მაინც საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობის საკითხი გადაწყდა, რომელსაც სოფელმა მხარი დაუჭირა. ზემო ქედში გვაქვს საბავშვო სივრცეები, ახალი ატრაქციონებია საბავშვო ბაღების ეზოებში, მაგრამ, ვინაიდან ზოგჯერ ბაღის ეზოები იკეტება და სხვა საათებში ვერ სარგებლობენ, ამიტომ მოითხოვეს სხვა სივრცეების მოწყობაც. ორ ადგილას შევძლებთ ატრაქციონების დამონტაჟებას. ერთია სოფლის შესასვლელში, ე.წ. შინმოუსვლელთა პარკში, სადაც საკმაოდ დიდი სკვერია

/გაგრძელება გვ.3/

ქვემო ქედი

ბეჭან სუხაშვილი ***(მერის რწმუნებული სოფელ ზემო ქედში):*** „წყალმომარაგების ქსელში არსებულ პრობლემაზე წამოიჭრა საკითხი, ერთ უბანზე დაღმართზე მილიდან წყალი ჟონავს და ადგილობრივებმა ის საკითხები მოისმინა, რომლებიც სოფლის კრებებზე მოსახლეობამ წამოჭრა:

სამრეკლოს სკოლის ძირეული რეაბილიტაცია დასრულდა

სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება. სამუშაოებს კომპანია „საბა კონსტრაქშენი“ ახორციელებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჯინჭარაძე, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ირაკლი კუპრავა, მისი პირველი მოადგილე ლევან მუშკუდიანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჯანაშვილი სამრეკლოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ.

სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში მიმდინარე მშენებლობა/რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის ფარგლებში ახორციელებს. სამუშაოების დასრულების შემდეგ სამრეკლოს საჯარო სკოლაში სასწავლო სივრცეებთან ერთად იფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასადილო და სააქტო დარბაზები, რესურსოთახი და ექიმის კაბინეტი, სპორტული ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული სივრცეები.

400 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის და უზრუნველყოფილია უსაფრთხოების სისტემებით. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტო დამატებით უზრუნველყოფს სკოლის აღჭურვას შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით.

„საკუთარი საქმისა და სამშობლოს სიყვარული, ყოველი წარმატების საფუძველია“

გლობალური განათლების ფესტივალი, უცხოელ კოლეგებთან კოლაბორაცია, სკოლებში ვიზიტები, ტროპიკულ ტყეებში და ულამაზეს სანაპიროებზე სეირნობა, კულტურული, რელიგიური და ისტორიული ძეგლების გაცნობა - ამ და სხვა საინტერესო თემების შესახებ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებას პირადი გამოცდილება ამავე სკოლის პედაგოგმა ეკა სეფიაშვილმა გაუზიარა.

საიდან დაიწყო ყველაფერი?

ეკა სეფიაშვილმა „AKS Education Awards“-ის კონკურსის შესახებ გასულ ზაფხულს შეიტყო. AKS Education Awards, AKS Worldwide Pvt Ltd-ის პროექტია, რომელიც ყოველწლიურად აჯილდოებს მსოფლიოში საუკეთესო პედაგოგებს. AKS ორგანიზაცია განათლების მართვის სფეროში უმაღლესი სტანდარტების დანერგვასა და პრაქტიკების გაუმჯობესებას ემსახურება. მისი მთავარი მიზანია განათლების ინოვაციური მიდგომების დანერგვა და პედაგოგების პროფესიონალიზმის ამაღლება. „ამ პროექტის შესახებ 2024 წლის ზაფხულში გავიგე. შემთხვევით წავიკითხე პოსტი „ქართველ მასწავლებელთა საზოგადოების პლატფორმაზე და დავინტერესდი. საკუნკურსო განაცხადის შევსება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. ჩემს მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიების დეტალური აღწერა, მტკიცებულებების მოგროვება, დირექტორის, ხუთი პედაგოგის და სათემო წარმომადგენლის მხრიდან რეკომენდაციები უნდა წარმედგინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადვილი არ ყოფილა, მაინც ბოლომდე შევავსე. ამასთან, მაინტერესებდა, რამდენად მქონდა განსხვავებული სამყაროსადმი მიმღებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სასკოლო საზოგადოება არანაკლებ გამოირჩევა განსხვავებულობითა და მიმღებლობით. უნდა აღვნიშვნო, რომ ახლად შეძენილ უძვირფასეს პედაგოგებთან ერთად მოგზაურობა სხვადასხვა კლიმატურ სარტყელში მართლაც განსხვავებული ეფექტებით იყო დატვირთული“.

პრეზენტაციისას ეკა სეფიაშვილმა ისაუბრა, თუ როგორაა მოწყობილი ინდოეთის განათლების სისტემა: „საინტერესო იყო ინდოეთის განათლების სისტემის ახლოს გაცნობა, იმ კერძო, სახელმწიფო თუ საერთაშორისო სკოლების გამოცდილების გაზიარება, სადაც საზღვარგარეთ განათლებამიღებული პროფესიონალი პედაგოგები მუშაობენ. ინდოეთში განათლებას ზედამხედველობას უწევს ორი ორგანო: განათლების ცენტრალური სამეთვალყურეო საბჭო (the central advisory board of education), CABE და ეროვნული მასშტაბის ორგანიზაცია - განათლებისა და სწავლების ეროვნული საბჭო - national council for educational research and training, NCERT. ამასთანავე, არ არსებობს ე.წ ერთიანი სასწავლო გეგმა. ვინაიდან ინდოეთი შტატებისგან შედგება, ყველა შტატს თავისი სასწავლო კურიკულუმები აქვს შედგენილი. უნდა აღვნიშნო ინკლუზიურ სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული ერთი დეტალი - ერთი

შეხედვით გარემო ინკლუზიურია, მაგრამ არატიპური ბავშვები ცალკე სასწავლო გარემოში ჰყავთ და მხოლოდ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის მოჰყავთ ის ტიპურ ბავშვებთან“.

მან ასევე ისაუბრა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ კონკურსებს როგორც პედაგოგისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის: „ასეთი საერთაშორისო კონკურსები და პროექტები მასწავლებლისთვის ახალი გამოცდილება, პროფესიული ზრდა, ახალი კონტაქტები, კოლაბორაცია, განათლების ახლებური ტრენდებისა და ინოვაციების გაცნობა-დანერგვა-გაზიარებაა. მოსწავლეებისთვის კი გლობალური ხედვის, ინტერკულტურული უნარების, ინოვაციური, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობაა“-აღნიშნა ეკა სეფიაშვილმა პრეზენტაციისას.

შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე კოლეგებმა დამატებითი კითხვები დაუსვეს პრეზენტატორს ინდოეთის სკოლებში არსებულ სასწავლო გეგმებთან, კურიკულუმების შემუშავებასთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით, რაზეც მათ ამომწურავი პასუხები მიიღეს.

შეხვედრის დასასრულს, დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა მადლობა გადაუხადა ეკა სეფიაშვილს პრაქტიკისა და საინტერესო ინფორმაციის გაზიარებისთვის, მეტი ასეთი მონდომებული და წარმატებული პედაგოგი უსურვა სკოლას და სასკოლო საზოგადოების სახელით მცირედი საჩუქრები გადასცა მას.

„მასწავლებლის გლობალური ჯილდოს (Global Teacher Award) გადმოცემის სენსიტიურმა მომენტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მაღალი მოტივაცია, საკუთარი საქმის, ადამიანებისა და სამშობლოს სიყვარული, სხვისი კეთილდღეობის მიმღებლობა, მადლიერების და პასუხისმგებლობის განცდა და მუდმივად უკეთესისკენ სწრაფვა, არის ყოველი წარმატების საფუძველი. მადლობა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებას, ქალბატონ ეთერ ოთარაშვილს, ყველა კოლეგას და ჩემს უსაყვარლეს მოსწავლეებს და მათ მშობლებს გვერდში დგომისთვის“ - აღნიშნა ეკა სეფიაშვილმა.

გეტყვით, რომ საქართველოსთან ერთად ინდოეთში გამართულ AKS კონკურსში გაიმარჯვეს მასწავლებლებმა შემდეგი ქვეყნებიდან: იტალია, ირლანდია, ესპანეთი, თურქეთი, მოროკო, პორტუგალია, შრილანკა, არაბეთი, ინდოეთი, ბრაზილია, აზერბაიჯანი, პოლონეთი, სინგაპური. წელს მასწავლებლის გლობალური ჯილდოს კონკურსში მონაწილეობა ჯამში 65 ქვეყნიდან 1486 განათლების სფეროს წარმომადგენელმა მიიღო და გაიმარჯვა მხოლოდ 10 ქვეყნის 50-მა მასწავლებელმა.

გაზეთი „შირაქი“ კიდევ ერთხელ ულოცავს ქალბატონ ეკა სეფიაშვილს საერთაშორისო აღიარებას და მომავალ წარმატებებს უსურვებს პროფესიულ საქმიანობაში.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

Forbes-მა მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები დაასახელა — რომელი ქვეყნები მოხვდნენ რეიტინგში

Forbes-მა მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების რეიტინგი განაახლა. აღნიშნული რეიტინგი დგინდება სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენის, ეკონომიკური რესურსების, ალიანსებისა და სამხედრო ძალის გათვალისწინებით.

მონაცემებს მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლის მშპ 30.34 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ამერიკას რეიტინგში მოსდევს ჩინეთი (მშპ 19.53 ტრილიონი დოლარი) და რუსეთი (2.2 ტრილიონი დოლარი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ძლიერი სახელმწიფოების ხუთეულის სიას გაერთიანებული სამეფო (3.73 ტრილიონი დოლარი) და გერმანია (მშპ 4.92 ტრილიონი დოლარი) ხურავენ. რაც შეეხება ძლიერი სახელმწიფოების ათეულს, დარჩენილი 5 ადგილი შემდეგმა ქვეყნებმა გაინაწილა:

- ***სამხრეთ კორეა (მშპ 1.95 ტრილიონი დოლარი);***
- ***საფრანგეთი (მშპ 3.28 ტრილიონი დოლარი);***
- ***იაპონია (მშპ 4.39 ტრილიონი დოლარი);***
- ***საუდის არაბეთი (მშპ 1.14 ტრილიონი დოლარი);***
- ***ისრაელი (მშპ 550 მილიარდი დოლარი).***

ზემო მაჩხაანელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

9 თებერვალს ქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ხრიდოლის ერთ-ერთ სახეობა რკენაში.

ხრიდოლის აკადემიის ორგანიზებით (აკადემიის პრეზიდენტი ნუკრი მჭედლიშვილი) ჩატარებულ პირველობაში მონაწილეობდა სპორტული კლუბი „ზაქები“ ზემო მაჩხაანიდან - 7 სპორტსმენით, მწვრთნელი - გენადი ნატროშვილი. შედეგები ესეთია: ***პირველ ადგილზე გავიდა 3 სპორტსმენი.*** ესენი არიან

*საბა ხუმარაშვილი 87კგ 2008
*ნიკა ცაკაშვილი 53კგ 2008
*ნიკოლოზ ნასრაშვილი 47კგ 2013

მესამე ადგილები დაიკავეს:

*გოჩა ჩუთლაშვილმა - 69კგ, 2009;
*ნიკა ჯაბაშვილი - 72 კგ, 2009;
*ზუკა ძნელაშვილმა - 40კგ, 2013;
*რატი დაუთაშვილი - 37კგ, 2013;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გრძელდება

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

და კარგი ადგილი გვაქვს შერჩეული. ასევე ატრაქციონები მოეწყობა ე.წ. ქსნელების უბანში მინი სტადიონის მიმდებარედ, დაცულ ადგილზე. იქაც კარგი ტერიტორიაა შერჩეული და გამოყოფილ თანხაში რასაც ჩავეტევით იმდენი ატრაქციონის მონტაჟი განხორციელდება“.

„არხილოსკალოში მოსახლეობამ გზების მოხრეშვა მოითხოვა. ცენტრალური გზის პარალელურად, ე.წ. ხევსურებისა და მთიულების უბანში ორი შიდა გზაა დარჩენილი. ითქვა, რომ ერთ-ერთი მოიხრეშება, ხოლო ერთიც სხვა პროგრამის დაფინანსებით მოასფალტდება. ასევე დაისვა საკითხი ცენტრალურ გზაზე არსებული სანიაღვრე ბოგირის რეაბილიტაციის შესახებ. ეს მოთხოვნა სოფელში დიდი ხანია არის. დაახლოებით 10—11 წლის წინ, როცა არხილოსკალოს ცენტრალური გზის სრული აღდგენა მოხდა და შესანიშნავი გზა დააგეს, მაშინ ქავთარაძეების სახლთან მდებარე ბოგირი ისე ააშენეს, რომ წამოსული ნიაღვარი ეზოში შედიოდა და სახლს საფრთხეს უქმნიდა. ოჯახი მაშინვე მოითხოვდა, რომ კომპანია „სერპანტინს“ შეეცვალა პროექტი და წამოსული წყალი ქვემოთ, ხევისკენ მიემართათ. სამწუხაროდ, მაშინ პროექტი არ შეცვლილა. მოსახლე ისევ ჩიოდა, რომ ყოველ ნალექზე წყალი სახლის საძირკველს საფრთხეს უქმნიდა, ამიტომ, რამდენიმე წლის წინ, მათ, ამ ადგილას ბეტონი თვითნებურად, კუსტარულად ჩაასხეს და თავი დაიცვეს. შემდეგ ოჯახი საზღვარგარეთ წავიდა, ადგილზე აღარ ცხოვრობენ. ეს პრობლემა კი ასე დარჩა. ბეტონის ჩასხმის შემდეგ ნალექის დროს წყალს ვეღარ ატარებს და დიდი გუბე დგება. ცენტრალურ გზაზე ნებისმიერ სეზონზე ნახავთ დიდ გუბეს, რაც დისკომფორტს უქმნის გამვლელებს. სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრა-მოწესრიგება წამოაყენეს ადგილობრივებმა სოფლის კრებაზე. ითქვა, რომ ისე გაკეთდეს, წყალი ხევში წავიდეს, არც დაგუბდეს და არც საფრთხე შეუქმნას ვინმეს. მივიღეთ დაპირება, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად იმუშავებენ და ბოგირი შესაბამისად დაპროექტდება“ - აღნიშნავენ არხილოსკალოელები.

შალვა ხორნაული: ***(არხილოსკალოს მკვიდრი):*** „ასევე გაიჟღერა ძველი საცურაო აუზის აღდგენის საკითხმაც. სამთაწყაროს ჩასახვევში ძველი აშენებული აუზია, კომუნისტებმა ააგეს და უზარმაზარი აუზია. კომუნისტების დროს ბავშვებისთვის აშენდა, მიშა კობაიძე იყო მაშინ თავმჯდომარე. მოგვიანებით ამ მარაგს სარწყავადაც იყენებდნენ. უკანა მხრიდან ავზიანი ავტომანქანები უდგებოდნენ და ავსებდნენ, შემდეგ ვენახებში მიჰქონდათ წყალი მოსარწყავად და შესაწამლად. 550 ტონა წყალი ეტევა და ამიტომ არარეალური იქნება მის აღდგენაზე ფიქრი. ბოლოს 2007-09 წლებში ვამუშავეთ. მაშინ მე სოფლის გამგებელი ვიყავი და რამდენჯერმე გავავსე, ბავშვებმაც გაიხარეს. მაგრამ შემდეგ წლებში უკვე გასდიოდა და იცლებოდა. როგორც ვიცი, ეცადნენ შერემონტებას, ბოლო წლებში დააწებეს კიდეც, მაგრამ თავი ვერ დაიჭირა, ისევ ჟონავს და ვერ გაიმართა. ამას გარდა, რთულია წყლის ამხელა რესურსი აქ გადატუმბო და რამდენიმე დღეში წყალი გამოცვალო. ბევრი მიზეზის გამო არარეალური იქნება მისი აღდგენა და არც იაფი ჯდება აუზის ფუნქციონირება. გზების მოხრეშვისა და ბოგირის მოწყობის გარდა სხვა საკითხი არ წამოჭრილა. გარე განათებები მთელს სოფელში გამართულია, სხვა პრობლემები როგორც ჩანს აღარ გამოიკვეთა. წყალმომარაგებაც ბოლო დროს გაუმჯობესდა. ზაფხულშიც ყოველდღიურად მოგვეწოდებოდა წყალი, მხოლოდ მაშინ გვქონდა შეზღუდვა, თუ ქსელში დაზიანება იყო. ახლა ზამთრის სეზონზე წყლის მოხმარება ბევრად ნაკლებია და ამჟამად უწყვეტი წყალმომარაგება გვაქვს, ვნახოთ ზაფხულში რა იქნება. სასმელადაც ამ წყალს მოვიხმართ“.

ფიროსმანი

თამარ კობაიძე ***(ქვემო ქედის მკვიდრი):*** „რამდენიმე წლის წინ ქვემო ქედში ძველი სკოლის ადგილას ტრენაჟორების ოთახი მოეწყო, რომელსაც აქტიურად იყენებს სოფლის ახალგაზრდობა. ახლაც კრებაზე ტრენაჟორების საკითხი დაისვა. ითქვა ისიც, რომ იმავე შენობაში თავისუფალი ოთახები არის და გაფართოვდეს სავარჯიშო სივრცე, რათა უფრო მეტი მსურველი დაიტიოს. ამ წინადადებაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უპასუხა, რომ ოთახები ავარიულია და რამდენად მოხერხდება ამას შესწავლა უნდა. ამას გარდა, ეს ადგილმდებარეობა სოფლის ცენტრიდან მოშორებულია და ბევრისთვის მოსახერხებელი არ არის, ამიტომაც სხვა სივრცის შერჩევაზეც გამახვილდა ყურადღება. სასურველია ცენტრალურ ადგილზე იყოს, რომ მოზარდებისთვისაც იყოს ხელმისაწვდომი და ბევრმა შეძლოს სარგებლობა. როგორც აღინიშნა, დამწვარი სკოლის შენობის დემონტაჟი განხორციელდა და თუ სამინისტრო ნებართვას გასცემს ამ ადგილზე ღია სავარჯიშო სკვერი მოეწყობა. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ქალბატონებიც დაინტერესდნენ და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას შეეწყოს ხელი. წამოიჭრა შიდა გზების მოწესრიგების საკითხიც. ამაზე მერმა მოსახლეობას უპასუხა, რომ ე.წ. ბერძნების დასახლებაში სკოლამდე მისასვლელი გზის მოასფალტება უკვე მოხდა. გზების დაგება დიდ თანხებს უკავშირდება, ამიტომ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დაფინანსება ამისათვის საკმარისი ვერ იქნება, ამიტომ ამ საკითხის გადაჭრაზე სხვა პროექტებით იფიქრებენ. ითქვა ისიც, რომ ყოფილი კულტურის სახლის შენობა უკვე დაიშალა, მოსუფთავდა ეზო და ამ ადგილზე სულ მალე თანამედროვე საბავშვო ბაღი აშენდება. მე აღარ წამომიყენებია კულტურის სახლის არარსებობის პრობლემა, რადგან ასე მცირე თანხით ამის მოგვარება შეუძლებელია. თუმცა, ჩვენი პრობლემის შესახებ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა კარგად იციან. 32 ბავშვი მყავს ქვემო ქედის მომღერალთა გუნდში, იმდენად პატარა ოთახი გვაქვს დათმობილი, რომ 7-10 ბავშვზე მეტს ფიზიკურად ვერ ვტევ. ამის გამო 4 ჯგუფად მყავს დაყოფილი და სხვადასხვა დროს ვმეცადინეობთ, კვირაში სამჯერ ვიკრიბებით. ზამთარში მშობლებიც გვესწრებიან ხოლმე, გარეთ ხომ არ დავაყენებთ და უფრო რთული ვითარება გვაქვს. გაზი კი შემოვიყვანეთ, გვაქვს გათბობა და ელექტრო გამათბობელიც გვაქვს, ეს პრობლემა არ დგას. ძალიან აქტიური და ნიჭერი ბავშვები გვყავს, კიდევ ბევრი მსურველია, მაგრამ ფიზიკურად დატევა შეუძლებელია. უამრავ ღონისძიებას ვატარებთ, ყველა დღესასწაულს ვეხმიანებით ხოლმე, გვაქვს მემორიალებზე გასვლითი ღონისძიებებიც. რამდენიმე ბავშვი კარგად ხატავს, გვინდა ხატვის, ან ხელსაქმის წრეც გვქონდეს, მაგრამ სამუშაო სივრცე ხელს არ გვიწყობს. ერთადერთი ჩვენი პრობლემა ფართის სივიწროვე და დარბაზის არარსებობაა. ღონისძიების ჩატარება რომ გვინდა, ან ზემო ქედში ვატარებთ, ან ქვემო ქედის სკოლას ვთხოვ ხოლმე და იქ ვმართავთ. თუმცა, არც სკოლას აქვს დარბაზი და ძალიან გვეშლება ხელი. ამასწინათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მითხრეს, რომ უმჯობესი იქნება სოფელში რაიმე სახლი შევისყიდოთ და მისი რეაბილიტაციის შედეგად გავფართოვდეთ. ეს უფრო მარტივად მოხერხდება, ვიდრე ახალი შენობის მშენებლობა. თუმცა, ამჟამად ისეთი არაფერი იყიდება, რომ მდებარეობა გვაწყობდეს. აუცილებელია სოფლის ცენტრალურ ადგილას ვიყოთ, რომ ბავშვებმა მარტივად შეძლონ მოსვლა და წასვლაც. ზამთარში დღე პატარაა და გვიან სახლში დაბრუნება რთულია. ახლა სკოლასთან ახლოს ვართ, სოფლის ცენტრში და ამ მხრივ არ ვიზღუდებით. ყველა სფეროს მიეხედა, მხოლოდ სოფლების კულტურის სახლები რჩება და იმედი მაქვს სამომავლოდ ჩვენი საკითხებიც გადაიჭრება. ხელისუფლების თანადგომას ყოველთვის ვგრძნობთ და მჯერა, ჩვენთვისაც მოიცლიან“.

განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით 12 თებერვალს მოსახლეობასთან შეხვედრები სამთაწყაროში, ფოროსმანსა და საბათლოშიც გაიმართა. შეხვედრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები გელა სამუკაშვილი, მალხაზ მერაბიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, საკრებულოს წევრებთან და მერიის სამსახურების უფროსებთან ერთად დაესწრნენ“.

კარენ მუსაელიანი ***(მერის რწმუნებული სოფელ საბათლოში):*** „ბოლო წლებში ბუნებრივი გაზი ყველა მოსახლემ შეიყვანა, წყალი მთელ სოფელს 24 საათით მიეწოდება. საბათლოში დაახლოებით 400 კაცი ცხოვრობს, 500 ტონიანი რეზერვუარი გვაქვს და სრულიად საკმარისია. თუ რაიმე არ გაფუჭდა, სხვა შემთხვევაში უწყვეტი წყალმომარაგება გვაქვს. ახალი სისტემაა მოწყობილი, წყალი იქლორება და პრობლემა არ გვაქვს. ზაფხულშიც კი არ დაგვჭირდა გრაფიკის ამოქმედება. გარე განათებებიც მოწესრიგებულია, ამიტომ სხვა საკითხები აღარ დასმულა. მხოლოდ სტადიონის აღდგენის საკითხი დააყენეს ახალგაზრდებმა. ეს სტადიონი საბათლოში რამდენიმე წლის წინ გაიხსნა, თუმცა, უკვე მოძველდა და რეაბილიტაცია მოითხოვეს. ხელოვნური მწვანე საფარის აღდგენა და მესერი, როგორც პროექტი მოითხოვს ისე დაიგეგმება. ახალგაზრდებისთვის სპორტული მოედანი ყველაზე მოთხოვნადია და ამიტომაც ეს საკითხი გადაწყდა“.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

წიგნის საჯაროდ კითხვის კვირეული გაიმართა

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო კვირეულის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლას ეწვია და სკოლის ბიბლიოთეკას მხატვრული ლიტერატურა საჩუქრად გადასცა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საბავშვო ნაწარმოებები მოსწავლეებთან ერთად წაიკითხა და წაკითხულის შინაარსიც მათთან ერთად განიხილა.

სკოლის დირექტორმა და პედაგოგებმა მერს მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ წიგნის კითხვის ასეთი ფორმით აღნიშვნა მოსწავლეებს მეტ სტიმულს მისცემს.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო კვირეული 2 თებერვალს დაიწყო და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდა. კვირეული დედოფლისწყაროს ყველა სკოლამ აღნიშნა.

ტყეების მართვის გეგმის საჯარო განხილვა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტყის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა 2025 წლის 4 მარტს, 11:00 საათზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: კოსტავას ქ. №44; მერიის შენობა) გაიმართება.

დედოფლისწყაროსა და სიღნაღში ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელდა.

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში განსახილველად შემდეგი დოკუმენტაცია წარმოადგინა:

- ► დედოფლისწყარო-სიღნაღის ტყის მართვის გეგმის პროექტი;
- ► ჯამური ცხრილები;
- ► ტაქსაციური აღწერები;
- ► კარტოგრაფიული მასალები.
- ► დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, შენიშვნებისა და კომენტარებისთვის 28 თებერვლამდე დაუკავშირდით ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტ ზურაბ ჯანიაშვილს (ტელ: 577 07 24 68, ელ-ფოსტა: zurabi.janiashvili@mepa.gov.ge).

«ყოველთვის იბრძოლეთ თქვენი მიზნების მისაღწევად...»

დიდხნიანი პაუზის შემდეგ დედოფლისწყაროს FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული ჰყავს. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ ირაკლი საბიაშვილმა წარმატებით გაიარა სამივე ეტაპი – ესეების, ტესტირების, გასაუბრების და გახდა მომავლის ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX-ის) ფინალისტი. ირაკლი 2025 წლის აგვისტოდან ერთი წლით გაემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა და ირაკლის პროგრამაში მონაწილეობაზე, მიზნებზე, სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე ესაუბრა.

– ირაკლი, მოგვიყევი შენს შესახებ. ვინ არის ირაკლი საბიაშვილი? რას აკეთებ თავისუფალ დროს? რა ჰობი და გატაცებები გაქვს?

მე ვარ ირაკლი საბიაშვილი, 16 წლის, დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე. თავისუფალ დროს დაკავებული ვარ ვარჯიშით, კალათბურთით, ვიდეო-თამაშების თამაშით და ელექტრო გიტარაზე ახალი კომპოზიციების სწავლით. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩემი ჰობია.

– რატომ დაინტერესდი „ფლექსის“ პროგრამით? რა მნიშვნელობა აქვს შენთვის ამ პროგრამას?

„ფლექსის“ შესახებ ჩემი ინგლისურის მასწავლებლისგან გავიგე. ბავშვობიდან დაინტერესებული ვიყავი უცხო ენებით და საზღვარგარეთ სწავლით. სწორედ მან მითხრა, რომ არსებობს ასეთი გაცვლითი პროგრამა - „ფლექსი“, რომელიც დამეხმარებოდა ჩემი მიზნების მიღწევაში. „ფლექსში“ გამარჯვება ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. ოცნების ახდენა შევძელი, ამიტომ ამ პროგრამას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის დამეხმარება, განვვითარდე და გავხდე თავისუფლად მოაზროვნე, დამოუკიდებელი ადამიანი.

– როგორც ცნობილია, პროგრამა რამდენიმე ეტაპისგან შედგება. ახლავს თუ არა სირთულეები ამ ეტაპების გავლას? რთული იყო თუ არა ამ პროგრამაში მოხვედრა?

პროგრამა შედგება სამი ეტაპისგან: ესეების წერა, ინგლისურ ენაში ტესტირება და ბოლო ეტაპი, გასაუბრების, ჯგუფური სამუშაოს და კიდევ ერთხელ ესეების წერისგან შედგება. რა თქმა უნდა, სამივე ეტაპს ახლავს თავისი სირთულეები, თუმცა, ვინც ამ ყველაფერს გონივრულად მიუდგება, მარტივად და წარმატებით დაძლევს ყველა ბარიერს და გაიმარჯვებს. ამ კონკრეტულ გაცვლით პროგრამაში მოხვედრა საკმაოდ რთულია და მასში გამარჯვების პროცენტულობა უფრო დაბალია, ვიდრე ჰარვარდში, ოქსფორდში ან სხვა უმაღლესი დონის უნივერსიტეტში მოხვედრა.

– ვინ გეხმარებოდა ამ სირთულეების გადალახვაში? ვინ ან რა იყო შენი მოტივაციის წყარო?

ამ სირთულეების დაძლევაში დედა და ჩემი ინგლისურის მასწავლებელი ქეთევან ტაველურაშვილი დამეხმარნენ, ხოლო ჩემი მოტივაციის წყარო უკეთესი მომავლის იმედი, განვითარებისა და წინსვლის სურვილი იყო.

– როგორი შეგრძნებაა ფინალისტად ყოფნა?

ჩემთვის „ფლექს“ პროგრამის ფინალისტობა უდიდესი წარმატებაა და ძალიან გახარებული ვარ, რომ მომავალ სასწავლო წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გავატარებ.

– რამდენად საპასუხისმგებლოა ეს სტატუსი შენთვის? შენ მხოლოდ ირაკლი საბიაშვილს როგორც პიროვნებას კი არა, სკოლას, მუნიციპალიტეტს, ქვეყანას წარმოადგენ...

„ფლექსის“ ფინალისტობა ძალიან საპასუხისმგებლო სტატუსია, რადგან ა.შ.შ-ში წარმატებით უნდა წარმოვაჩინო და ყველას გავაცნო ჩემი ქვეყანა. მისი კულტურა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები. შეუძლებელია, ამას პასუხისმგებლობის გარეშე შეხედოს ახალგაზრდამ.

– რა მოლოდინებთან და პერსპექტივებთან არის დაკავშირებული ამერიკაში ერთი სასწავლო წლის გატარება?

ამერიკაში ერთი სასწავლო წლის გატარება ჩემი მომავლის განვითარებისთვის ფართო შესაძლებლობას მაძლევს. ვფიქრობ და ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ამ სტატუსის დახმარებით შევძლო ჩემი ცხოვრება ისე წარვმართო, როგორც ოცნებებში მესახება.

– როგორ ფიქრობ, უცხო ქვეყანა, უცხო ადამიანები, უცხო გარემო, შენთვის უფრო გამოწვევა იქნება თუ ეს დაგეხმარება შენი თავის უკეთესი ვერსია შექმნა და გამოწვევა შანსად აქციო?

არ ვფიქრობ, რომ უცხო ქვეყანა, ხალხი და გარემო ჩემთვის, ან რომელიმე ფინალისტისთვის გამოწვევა იქნება, რადგან „ფლექს“ პროგრამის მთავარი მიზანი ამისთვის მზადმყოფი, უკვე კარგად მომზადებული და მობილიზებული მოსწავლეების შერჩევაა. პროგრამა იმ მოსწავლეებს, ახალგაზრდებს აგზავნის ამერიკაში სასწავლებლად, რომლებიც ამ ყველაფერს არა როგორც გამოწვევას, არამედ როგორც შანსს ისე მიუდგებიან.

– აქვს თუ არა ირაკლი საბიაშვილს წარმატების ფორმულა?

ირაკლი საბიაშვილის წარმატების ფორმულა არის მონდომება და უკეთესი, წარმატებული მომავლის სურვილი.

– რა არის შენი სამომავლო გეგმები? რას გეგმავ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ?

დაბრუნების შემდეგ, ჩემი სამომავლო გეგმები სწავლას უკავშირდება. მინდა, ვისწავლო უმაღლესი დონის უნივერსიტეტში, საქართველოში ან ამერიკაში. ვფიქრობ, ეს ჩემს საყვარელ ხალხთან ერთად წარმატებული ცხოვრების საშუალებას მომცემს.

– რა არის შენი გზავნილი ახალი თაობისთვის? როგორ შეაფასებდი დღევანდელ თაობას?

ახალ თაობას ვეტყოდი, რომ არასდროს დაზოგონ თავი და ყოველთვის იბრძოლონ თავიანთი მიზნების მისაღწევად. დღევანდელი თაობით ვამაყობ და ვიცი, რომ ეს თაობა საქართველოს ააყვავებს და ევროპულ მომავალს შეუქმნის.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ირაკლი საბიაშვილს, მის მშობლიურ სკოლასა და მუნიციპალიტეტს მიღწეულ შედეგს. უსურვებს წინსვლას, წარმატებასა და ყველა იმ ოცნებისა თუ მიზნის ასრულებას, რომელიც დაეხმარება უკეთესი მომავლის შექმნასა და საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიის ჩამოყალიბებაში. გვჯერა, ირაკლი და მისი თაობა განსაკუთრებულ როლს შეასრულებენ ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში.

პ.ს ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა „FLEX" შესაძლებლობას აძლევს ქართველ უფროსკლასელებს ისწავლონ ამერიკულ სკოლებში და იცხოვრონ ამერიკულ ოჯახებში. პროგრამას აფინანსებს ამერიკის მთავრობა და ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები.

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„მოხალისეობა დადებითი ცვლილებებისთვის“

7 თებერვალს, საგანმანათლებლო სესია მოხალისეობის საკითხებზე, კახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ჩატარდა.

სესიის ბოლოს მოეწყო პანელური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ: ნინო ბატიაშვილი ლაგოდეხის მერის მოადგილე, ნინო ალადაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, მუსლიმ ბოჩაშვილი 2024 წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული, პანკისიდან, ლია მარგოშვილი „როდი სკოტის სახელობის ფონდის/ინგლისურ-ენოვანი სკოლის ხელმძღვანელი“, პანკისიდან.

„ძალიან კარგი სესია იყო მოხალისეობის თემაზე, მსგავს შეხვედრებს დიდი როლი აქვს ახალგაზრდების ცხოვრებაში, ახალი შესაძლებლობების კარს გვიხსნის და გვიბიძგებს ხვალ, ჩვენი თავის უკეთესი ვერსია ვიხილოთ" - ანანო ხინგავა, სესიის მონაწილე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი.

პროექტს „მოხალისეობა დადებითი ცვლილებებისათვის „ჰელფინგ ჰენდი“ ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით ახორციელებს.

სესიაზე მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ცენტრის წევრებმა: ლიკა ჯინაშვილმა, არინა ავალიანმა, ***(ხორნაბუჯის საჯარო სკოლა),*** ქეთი ყაჭაშვილმა, მარიამ გოგილაშვილმა ***(წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლა-ინტერნატი)*** მიიღეს. ახალგაზრდები დიდი შთაბეჭდილებით და მოტივირებულები დაბრუნდნენ. გეგმავენ მოხალისეობის საკითხზე საინფორმაციო შეხვედრას თანატოლებისთვის, რათა სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩართონ მოხალისეობრივ საქმიანობაში.

პროექტს - „მოხალისეობა დადებითი ცვლილებებისათვის" „ჰელფინგ ჰენდი“, ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს მაშტაბით ახორციელებს. ***„მადლობა „ჰელფინგ ჰენდს“ და ახალგაზრდობის სააგენტოს ამ შესაძლებლობისთვის“*** - აცხადებენ ახალგაზრდულ ცენტრში.

ორნამენტებში განსხეულებული საქართველოს ისტორია

საკუთარი თოჯინების შექმნის სურვილი გავშვოგიდან ჰქონდა. ხელნაკეთი თოჯინაც და მისი ტანსაცმელიც საკმაოდ ახალგაზრდამ შექმნა. რამდენიმეწლიანმა გატაცებამ მალე პროფესიული განათლებაც შესძინა და სერიოზულად მოჰკიდა ხელი ტრადიციული ხელსაქმის შესწავლას და ამ საქმის სხვებისთვის გადაცემას.

„ახლა ბავშვებს ვასწავლი ხელნაკეთი ნივთების შექმნას. მათ წესიერად ნემსისა და ძაფის ხელში ჭერაც არ იციან, მაგრამ საჭირო უნარებს მალევე გამოიმუშავებენ - ხოლმე და მოკლე ხანში მშვენიერ სუვენირებს ქმნიან. თანამედროვე თაობა ძალიან ნიჭიერია. ნიჭთან ერთად მათ აქვთ ის უნარები, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიური ბაზა აძლევთ. ზოგიერთმა ჩემმა მოწაფემ დაამზადა და რეალიზაციაც გაუკეთა საკუთარი ხელით შექმნილ სუვენირებს. ასე, მაგალითად, საახალწლოდ დაამზადა ნაძვის ხის მოსართავები და გაყიდა“-ამბობს ჩვენთან საუბრისას ლია ნატროშვილი, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების შექმნის წრე, რამდენიმე წელია, ფუნქციონირებს დედოფლისწყაროს

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. დღეს ლია ნატროშვილთან 15 ბავშვი ეუფლება ტრადიციული რეწვის ნიმუშების შექმნის ხელოვნებას. ლია პროფესიით ინჟინერია, მაგრამ თავისი ცხოვრების მთავარ პროფესიად ხელოვნების მსახურება აირჩია.

„2003 წლიდან მაქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ოცდამეერთე საუკუნეში“, სადაც მარტოხელა, ხანდაზმული ქალბატონები იყვნენ გაერთიანებულნი და მათთან ერთად ვაკეთებდი თოჯინებს, რომელთა ტანისამოსიც ტრადიციულ მოტივებზე იყო შექმნილი. თოჯინები ყველას მოსწონდა, მაგრამ რეალიზაცია გვიჭირდა. როგორც ჩანს, ამას ცალკე ნიჭი სჭირდება...

ბევრი თოჯინა გვაქვს დამზადებული, მაგრამ გაყიდული- ცოტა. გამონაკლისი იყო ის პერიოდი, როდესაც ახლად გვქონდა დაწყებული მე და ჩემს მეგობარს ეს საქმიანობა. მაშინ, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით ამერიკაში გავაგზავნეთ ჩვენი თოჯინები და ყველა მათგანი გაიყიდა. დღეს თოჯინების დამზადება ტრადიციული სამოსით შეჩერებული მაქვს, თუმცა, ახლა ვგეგმავ, რომ თოჯინები მოვქსოვო. თოჯინების დამზადების ეს ტექნიკა დღეს ძალიან ტრენდულიცაა და მოთხოვნადიც.

-რა ასაკობრივი კატეგორია ინტერესდება თქვენი წრით?

-საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეები, ასე პირველიდან-მეექვსე კლასის ჩათვლით. უფროსკლასელები დროს ვეღარ ნახულობენ, რადგან მათ ძალიან დატვირთული დღის რეჟიმი აქვთ, ჩვენც სამუშაო საათები შეზღუდული გვაქვს და ერთმანეთთან განშორება გვინევს...

-რა მიზანს ისახავდა თქვენი არასამთავრო ორგანიზაცია?

- არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ოცდამეერთე საუკუნეში“, მიზანს წარმოადგენდა მარტოხელა და სოციალურად დაუცველი ქალების ეკონომიკური გაძლიერება, მათთვის ხელსაქმის სწავლება და საკუთარი პროდუქციის შექმნა, რომლის რეალიზაციითაც ისინი სიღარიბის დაძლევას შეძლებდნენ. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ცოტა ხანში ბევრი მსურველი იკარგებოდა და უარს აცხადებდა ჩვენთან სიარულზე. მოგვიანებით მივხვდი, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, პოლიტიკური ნიშნით არ უშვებდნენ ქალებს ჩვენთან. არადა, მე აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი ვარ...

-კი, შესაძლოა, თქვენ აპოლიტიკური ბრძანდებით, მაგრამ მაინც მოხვედით პოლიტიკაში, თქვენ იყავით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი...

-ყოველთვის ვიყავი აქტიური ადამიანი, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელიც ვიყავი- დამოუკიდებელი საქართველოს პირველი არჩევნების დროს, რეფერენდუმი მე ჩავატარე, მაგრამ პოლიტიკურად ანგაჟირებული არასოდეს ვყოფილვარ, არასოდეს მომიხვევია ვინმესთვის ჩემი პოლიტიკური შეხედულებები, რაიმე სახის ზეწოლაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. თანაც, ვთვლი, რომ ხელოვნება აბსოლუტურად გამიჯნული უნდა

იყოს პოლიტიკისგან. ეს ის სფეროა, რომელსაც პოლიტიკური პროცესები არ უნდა ეხებოდეს.

საკუთარი პოლიტიკური ხაზი და მოსაზრებებიც ყოველთვის მქონდა. ამიტომ, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში და შეიქმნა

კოალიციური მთავრობა, იმ პარტიიდან, რომლის წევრიც ვიყავი-პარტია - „რესპუბლიკელები“, კენჭი ვიყარე და გავხდი საკრებულოს წევრი 2014-2018 წლებში.

-რას იტყოდით, რას ცვლიან ქალები პოლიტიკაში?

-ქალები მეტად ორიენტირებულები არიან სოციალურ საკითხებზე, ქალებისა და ბავშვებისთვის უკეთესი პირობების შექმნაზე. ქალი ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემის არსებობას გაცილებით მწვავედ განიცდის, ამიტომ მეტი ქალი პოლიტიკაში-ეს აუცილებელია ისევ ჩვენი ოჯახების კეთილდღეობისთვის.

-დავუბრუნდეთ ისევ თქვენს ახლანდელ საქმიანობას, როგორც აღნიშნეთ, თქვენ ეწევით ტრადიციული რეწვის ნიმუშების შექმნას, მის აღდგენა-შენარჩუნებას. თოჯინებისა და ხელნაკეთი სუვენირების გარდა რის დამზადებას ასწავლით?

-დღემდე მაქვს დაზგები, რომლებზეც შესაძლებელია ფარდაგებისა და ხალიჩების ქსოვა, მაგრამ არავინ გამოჩნდა, რომ ხალიჩის მოქსოვის ან მისი სწავლის სურვილი გამოეთქვა.

თავდაპირველად, სტუდენტობისას მეგობრისგან ვისწავლე თექის დამზადება, მივხვდი, რომ ეს ის სიახლე იყო, „ყველა ახალი კარგად დავიწყებული ძველი რომაა“. როდესაც ტრადიციული დარგების აღორძინებაზე დაიწყო საუბარი, მივხვდი, რომ ისეთი რამე უნდა მეკეთებინა, რომელიც ჩემთვისაც და ქვეყნისთვისაც ერთნაირად სასარგებლო იქნებოდა. სარგებლობის მოტანასთან ერთად კი სასიამოვნოც. ტურიზმის განვითარებასთან ერთად აქტუალური გახდა ჩვენი ტრადიციული ხელსაქმე, რადგან უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმარს აინტერესებს ახლისა და განსხვავებულის ნახვა. სწორედ

ქართული ტრადიციებია, რითიც გამორჩეულია ჩვენი ქვეყანა. თითოეული ორნამენტი საქართველოს კუთხეების ისტორიას, წეს-ჩვეულებებს ინახავს...

დღეს ჩემი სამსახურიც სწორედ ამ ხაზს აგრძელებს-ეროვნულ საქმეს + სარგებელი. პატარების ხელით დამზადებული თითოეული სუვენირი სწორედ ეროვნულ ხასიათს ატარებს. სანამ იქნებიან ხელსაქმის შესწავლის მსურველები, მანამდე უსასრულოდ გაგრძელდება მათში ჩვენი ტრადიციებიც. ქართველი ქალისთვის ოდითგანვე აუცილებელი იყო ხელსაქმის ცოდნა-ქსოვა, კერვა, ქარგვა... ქსოვა-მქარგველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყო განვითარებული. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ. იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რთვა-ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. პატარძალს თავისი ნაქსოვი, ხურჯინ-ჯეჯიმები და წინდები ქმრის ოჯახისთვის საჩუქრად მიჰქონდა. ბუნებრივი მატყლის ძაფისაგან საქართველოში უძველესი დროიდანვე იქსოვებოდა: შალის ქსოვილები, ხალიჩები, ფარდაგები, ყაჯარ-ჯეჯიმები;ნაქსოვი და შეკერილი სამოსი კი ბოლოს იქარგებოდა. ასევე იქარგებოდა: სამაჯურები, ლეჩაქები, მანდილები, ქუდები, თავსაკრავები, ყაბალახები, ფაფანაკები, პერანგები...

ტრადიციული ხელსაქმის შესწავლასთან ერთად ბავშვებს უვითარდებათ მოტორიკა, სწავლობენ ფერთა შეხამებას. გაკვეთილზე ყოფნისას ისინი არ არიან მობილური ტელეფონების „ტყვეობაში“ და ერთმანეთთან არა ვირტუალურად, არამედ ცოცხლად ურთიერთობენ. აქ მოდიან ისინი, ვისაც ხელოვნების სიყვარული ამოძრავებს, ხოლო მათი მშობლები კი დროის სწორ მენეჯმენტზეც აკეთებენ აქცენტს.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას, რომელთაგანაც ვგრძნობთ ყურადღებას. იყო დრო, როდესაც ძაფებიც კი არ გვქონდა, ნაშალი ძაფები სახლიდან მომქონდა, ასევე სხვა დეტალებიც, ბავშვებისთვის გაკვეთილი რომ ჩამეტარებინა. ახლა ეს პრობლემა აღარ გვაქვს.

***

ტრადიცია გრძელდება. ტრადიციული ხელსაქმის შემსწავლელი წრე მოზარდებს ქართული ორნამენტების გამოყენებით ქარგვას, ქსოვას, თექაზე მუშაობას ასწავლის და მათშიც გადადის ბრინჯაოს ხანაში დაწყებული საქართველოს ისტორია. ტრადიციულს თანამედროვე ელემენტებს უმატებენ და ასე იქმნება თევზის ფხებით - ვარდები, რიყის ქვებითა და გირჩებით-საახალწლო პეიზაჟები...

ბავშვები ქმნადობის პროცესითაც სიამოვნებას იღებენ და უკვე დასრულებული ნამუშევრებითაც, რომელსაც საჩუქრის გაღებითა და მადლიერებით მიღებული ბედნიერების გრძნობა აგვირგვინებს.

ხელოვნება ხომ სწორედ ესაა - მისი მსახურიც და შემფასებელიც ბედნიერია.

ინგა შიოლაშვილი

როგორი იქნება წელს ლა-ნინია და რა ელის მსოფლიოს კლიმატს

წყნარ ოკეანის ეკვატორულ ნაწილში კლიმატის ფენომენ ლა-ნინიას (La Niña) განვითარება დაიწყო, რომელიც კლიმატური ციკლის ბუნებრივი მოვლენაა და მთელს პლანეტაზე ამინდის ექსტრემალურ მოვლენებს იწვევს - ამის შესახებ აშშ-ის ოკეანისა და ატმოსფეროს კვლევის ეროვნული ადმინისტრაციის (NOAA) განცხადებაში წერია, რასაც EuroNews ავრცელებს.

კლიმატოლოგების ცნობით, წლევანდელი ლა-ნინია სიურპრიზებით დაიწყო, კერძოდ, ამინდის ეს მოვლენა ჩვეულებრივზე მოკლე და სუსტი იქნება.

ლა-ნინია რეგულარულად წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში ჩნდება, როცა სტაბილური აღმოსავლეთის ქარი თბილ წყალს პერუსა და ჩილეს სანაპიროებიდან ინდონეზიისა და ავსტრალიისკენ მიმართავს. შედეგად, ცივი წყალი ზღვის სიღრმიდან ზედაპირზე ამოდის და რეგიონში სიცივე დგება.

წყნარ ოკეანის ეკვატორულ ნაწილში კლიმატის ფენომენ ლა-ნინიას (La Niña) განვითარება დაიწყო, რომელიც კლიმატური ციკლის ბუნებრივი მოვლენაა და მთელს პლანეტაზე ამინდის ექსტრემალურ მოვლენებს იწვევს - ამის შესახებ აშშ-ის ოკეანისა და ატმოსფეროს კვლევის ეროვნული ადმინისტრაციის (NOAA) განცხადებაში წერია, რასაც EuroNews ავრცელებს.

კლიმატოლოგების ცნობით, წლევანდელი ლა-ნინია სიურპრიზებით დაიწყო, კერძოდ, ამინდის ეს მოვლენა ჩვეულებრივზე მოკლე და სუსტი იქნება.

ლა-ნინია რეგულარულად წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში ჩნდება, როცა სტაბილური აღმოსავლეთის ქარი თბილ წყალს პერუსა და ჩილეს სანაპიროებიდან ინდონეზიისა და ავსტრალიისკენ მიმართავს. შედეგად, ცივი წყალი ზღვის სიღრმიდან ზედაპირზე ამოდის და რეგიონში სიცივე დგება.

სინოპტიკოსების განცხადებით, ლა-ნინიას გამო სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში შესაძლოა, ჩვეულებრივზე მეტი ნალექი მოვიდეს. ლა-ნინია, ასევე, ატლანტის ოკეანეში ქარიშხლის აქტივობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

თუმცა, ექსპერტები ამბობენ, რომ ამჟამინდელი ლა-ნინია მოსალოდნელზე გვიან დადგა და ზამთრის დადგომამდე გაძლიერება ვერ მოასწრო. მეცნიერები თვლიან, რომ ლა-ნინია აპრილამდე გაგრძელდება და თუ მარტამდე დასრულდა, მას დაკვირვების ოფიციალურ ისტორიაში არ შეიტანენ.

საშიშია თუ არა ლა ნინია?

ლა ნინია თვითონ არ არის საშიში ფენომენი, თუმცა მისი გავლენა გარემოზე და ადამიანების ცხოვრებაზე შეიძლება საკმაოდ სერიოზული იყოს. ლა ნინია იწვევს ატმოსფერული და ოკეანური პირობების ცვლილებას, რაც თავის მხრივ სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევი შეიძლება გახდეს. მისი შედეგები მათ შორის მოიცავს:

1. წყალდიდობები და ძლიერი წვიმები: ლა ნინია ხშირად იწვევს ძლიერ წვიმებს და წყალდიდობებს ისეთ რეგიონებში, სადაც ეს ფენომენი აქტიურია, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ავსტრალიაში.

2. გამოშრობის პერიოდი: ზოგიერთი რეგიონი, მაგალითად, სამხრეთ ამერიკა, შეიძლება დაზარალდეს საშინელი გვალვებით, რაც ზეგავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობასა და წყლის რესურსებზე.

3. ქარიშხლები და ტორნადოები: ლა ნინიამ შესაძლოა გამოიწვიოს ძლიერი ქარიშხლები და ტორნადოები, რაც თავის მხრივ ზრდის პოტენციურ საფრთხეს ადამიანის უსაფრთხოებისთვის.

4. საწარმოები და მეწარმეობა: თუკი გარკვეულ რეგიონებში სოფლის მეურნეობა ან თევზჭერა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, ლა ნინია მათთვის მძიმე ზარალს წარმოადგენს.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ლა ნინია არ არის უშუალოდ „საშიში“, მისი

გავლენა გლობალურ კლიმატურ სისტემაზე და გარემოზე შეიძლება მყისიერად იწვევდეს გრძელვადიან ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს.

NOAA-ს მეცნიერების მონაცემებით, 2020-დან 2023 წლამდე დედამიწამ ზედიზედ ლა-ნინიას სამი მოვლენა განიცადა. კერძოდ, ზედიზედ სამი ზამთარი ლა ნინიას პირობებით უჩვეულოა. მანამდე მსგავსი ფაქტი მხოლოდ 1973-76 წლებში დაფიქსირდა.

გოდარდის სახელობის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტი გაფრთხილებას იძლევა, რომ ლა-ნინიას მოვლენების სიხშირემ შესაძლოა, დამატებით სტრესში ჩააგდოს რეგიონები, რომლებიც ბოლო დროს გვალვას ებრძოდნენ და როგორიც, მაგალითად, აღმოსავლეთ აფრიკაა.

რა ელის მსოფლიო კლიმატს 2025 წელს?

2025 წელს მსოფლიო კლიმატი კვლავ ექსტრემალური მოვლენებით იქნება დამახასიათებელი. მეცნიერების პროგნოზებით, გლობალური ტემპერატურა კვლავ მოიმატებს, რაც კლიმატის ცვლილების პროცესს გააძლიერებს. 2024 წელი უკვე დაფიქსირდა როგორც ყველაზე ცხელი წელი ისტორიაში, როდესაც ტემპერატურა ინდუსტრიული ეპოქის დონეზე 1.47°C-1.62°C-მდე გაიზარდა.

2025 წელს ელ-ნინიას ფაზის გააქტიურება მოსალოდნელია, რაც გლობალურ ამინდზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2025 წელს ელ-ნინია განსაკუთრებულად ძლიერი იქნება, რაც სხვადასხვა რეგიონში ექსტრემალურ კლიმატურ პირობებს გამოიწვევს.

ამასთან, ჰაერის დაბინძურება, მათ შორის PM2.5 ნაწილაკები და ნახშირორჟანგი, გააძლიერებს ბუნებრივი მოვლენების ტემპს, როგორიცაა ქარიშხლების სიძლიერე და ჭარბი ნალექები ტროპიკულ რეგიონებში.

ამგვარად, 2025 წელი მსოფლიო კლიმატის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იქნება, რომელიც ექსტრემალური ამინდების მატებასა და კლიმატის ცვლილების პროცესის დაჩქარებას გამოიწვევს.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რომელია იშვიათი და უძვირფასესი კრიტიკული მინერალები და როგორ იბრძვიან ქვეყნები მათ მოსაპოვებლად

სამყარო სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული კრიტიკულ მინერალებზე. იშვიათ მინერალებს ეფუძნება ყველაფერი, სმარტფონებიდან დაწყებული - სამედიცინო მოწყობილობებით, ელექტრო ავტომობილების ბატარეებითა და მზის პანელებით დასრულებული.

ტექნოლოგიური ეპოქისთვის ასეთი წიაღისეულის მოპოვებაზე კონტროლის ქონა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მათ დომინანტი ტექნოლოგიური პოზიციის შენარჩუნებაში ეხმარება.

მსოფლიოს ეკონომიკური გიგანტის პოზიციისთვის კი დიდი ქვეყნები გამუდმებით იბრძვიან.

რა არის კრიტიკული მინერალები?

კრიტიკული მინერალები არის მეტალის არალითონური ელემენტები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების, ეკონომიკებისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

ამ აუცილებელი მინერალების გარეშე, თანამედროვე ცივილიზაციას გაუჭირდება ფუნქციონირება. თითქმის შეუძლებელი გახდება „მწვანე“, განახლებად ენერგიაზე გადასვლა.

დღევანდელ მსოფლიოში კრიტიკული მინერალები აძლიერებენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომლებიც უკვე შეუცვლელი გახდა. ისინი ასევე გამოიყენება ფოლადის, ცემენტის, მინის, ნახევარგამტარების, მაგნიტების, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების (და სხვა სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების), ლაზერების, იარაღის (და სხვა თავდაცვის მასალების), კომერციული თვითმფრინავების, ბირთვული რეაქტორების, ლეპტოპების, სასუქების წარმოებაში.

ურო კონკრეტულად, იშვიათი ელემენტები ქარის ტურბინებში, მუდმივი მაგნიტების წარმოებისთვის გამოიყენება.

რამდენი კრიტიკული მინერალია მსოფლიოში?

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მიერ გამოქვეყნებული უახლესი სია 50 მათგანს ასახელებს. ევროკავშირმა და იაპონიამ კრიტიკულად მნიშვნელოვნად მინერალად მხოლოდ 34 დაასახელა.

ავსტრალია და კანადა 31 კრიტიკულ მინერალს აიდენტიფიცირებენ, თუმცა მათი სია არ არის ზემოაღნიშნულთან იდენტური. ინდოეთის სიაში კი შედის 30 კრიტიკული მინერალი, ჩინეთის ჩამონათვალში - 24, ხოლო დიდი ბრიტანეთის ვერსია შედგება მხოლოდ 18-ისგან.

ენერგიისთვის საწარმოებლად განისაზღვრა შემდეგი კრიტიკული მინერალები: ალუმინი, კობალტი, სპილენძი, დისპროციუმი, ელექტრო ფოლადი, ფტორი, გალიუმი, ირიდიუმი, ლითიუმი, მაგნიუმი, ბუნებრივი გრაფიტი, ნეოდიმი, ნიკელი, პლატინა, პრასეოდიმი, სილიციუმი, სილიციუმის კარბიდი და ტერბიუმი.

თუმცა, არსებობს 10 იშვიათი მინერალი, რომლებიც ყველა ქვეყანამ უმნიშვნელოვანეს „სიმდიდრედ“ აღიარა. ესენია: ალუმინი, ანტიმონი, კობალტი, სპილენძი, ფთორი, გრაფიტი, ლითიუმი, ნიკელი, იშვიათი მიწაელემენტები და ვოლფრამი.

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ (IEA) განაცხადა, რომ ამ 10 მინერალიდან ოთხი - ლითიუმი, კობალტი, სპილენძი და ნიკელი, აუცილებელია მწვანე ენერგიაზე გადასვლისთვის:

ლითიუმი

ყველაზე მნიშვნელოვანი მინერალი, ეს რბილი, ვერცხლისფერი ელემენტია, რომელსაც აქვს ყველაზე დაბალი სიმკვრივე ყველა ლითონთან შედარებით. ლითიუმი, არის ბატარეებისთვის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც კვებავს ელექტრო მანქანას, სმარტფონებსა და ლეპტოპებს, სამედიცინო მოწყობილობებს, დრონებს და თანამგზავრებს.

ლითიუმი შერწყმულია ალუმინთან და მაგნიუმთან, რათა წარმოიქმნას შენადნობები, რომლებიც გამოიყენება თვითმფრინავებში და მაღალსიჩქარიან მატარებლებში.

2017-2022 წლებში, ლითიუმ-იონური ბატარეების მზარდ ბაზართან ერთად, მასზე მოთხოვნა სამჯერ გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ 2030 წელს, ლითიუმის კარბონატის ეკვივალენტზე (LCE) მოთხოვნა, რომელიც გამოიყენება ლითიუმის შემცველობის კლასიფიკაციისთვის, გადააჭარბებს 2,4 მილიონ ტონას.

კობალტი

კობალტი წვის დროს გამოყოფს ტოქსიკურ ორთქლს, რის გამოც მე-16 საუკუნის საქსონიის მაღაროელებმა ის მითიურ არსებასთან დააკავშირეს. მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც მას ძირითადად იყენებდნენ საღებავების, სამკაულების და ფერადი მინის დასამზადებლად, კობალტი ახლა ლითიუმ-იონური ბატარეების სასიცოცხლო კომპონენტია.

კობალტზე მოთხოვნა 70%-ით გაიზარდა 2017-2022 წლებში. 2030 წლისთვის ბატარეის მოთხოვნა კობალტზე სავარაუდოდ, 320 მილიონ მეტრულ ტონას მიაღწევს.

სპილენძი

სპილენძი ახლა მსოფლიოში მესამე ყველაზე მოხმარებადი ლითონია. მისი მოქნილობის, გამძლეობისა და გამტარი თვისებების წყალობით, ელემენტი ელექტრო მოწყობილობების აუცილებელი კომპონენტია. ეს ნიშნავს იმას, რომ ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მწვანე ენერგიის რევოლუციისთვის. მის გარეშე ელექტრო მანქანები, ქარის ტურბინები, მზის პანელები და სხვა განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები უბრალოდ არ იარსებებს.

ამერიკული მენეჯმენტის საკონსულტაციო ფირმა McKinsey-ის თანახმად, ამ ლითონზე წლიური მოთხოვნა სავარაუდოდ, 2031 წლისთვის 36.6 მილიონ ტონას მიაღწევს. 2035 წლისთვის კი მოთხოვნა გაიზრდება და საჭირო იქნება 50 მილიონი ტონა.

ნიკელი

კოროზიისადმი მდგრადობის გამო, ნიკელი დიდი ხანია გამოიყენება ისეთი შენადნობების დასამზადებლად, როგორიცაა უჟანგავი ფოლადი.

ტექნოლოგიის დიდი ნაწილი, რომელიც მართავს ჩვენს თანამედროვე სამყაროს, შეიცავს ნიკელს. ლითონი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ფართოდ გამოიყენება მწვანე ტექნოლოგიებში.

Global Industry Analysts-ის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება პროგნოზირებს, რომ ნიკელზე მოთხოვნა 2030 წლისთვის 3.5 მილიონ ტონას მიაღწევს.

რომელი ქვეყნები დომინირებენ კრიტიკული მინერალების მიწოდების ჯაჭვში?

მსოფლიოში კრიტიკული მინერალების გადამუშავებაში ამჟამად ჩინეთი ლიდერობს და არის მრავალი მნიშვნელოვანი ელემენტის წამყვანი მწარმოებელი. სახალხო რესპუბლიკის აბსოლუტური კონტროლი მინერალების გადამუშავებაზე, ქვეყანას კრიტიკული წიაღისეულის გლობალური მიწოდების ჯაჭვის კვანძად აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მინერალების მოპოვებაში, გადამუშავების ეტაპი ძირითადად კონცენტრირებულია ჩინეთში.

სტრატეგიული მინერალების მიწოდების გლობალური ჯაჭვის დივერსიფიკაციისთვის რამდენიმე ქვეყანა და კომპანია ინვესტიციებს ახორციელებს.

მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა შიდა წარმოებისა და გადამამუშავებელი შესაძლებლობების გასავითარებლად ძალისხმევა გააძლიერა.

2023 წელს შეერთებულმა შტატებმა აამუშავა მინერალების გადამამუშავებელი სამი სტრატეგიული ობიექტი.

ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ავსტრალია და კანადა, ასევე აძლიერებენ ძალისხმევას ლითიუმის, კობალტისა და იშვიათი ლითონების წარმოებაზე. ბრაზილიამ და მოზამბიკამ დაიწყეს გრაფიტის მარაგების განვითარება.

წყარო: evboosters.com

იმპერიები და ომი



კაცობრიობის ისტორიაში ცუდის სიჭარბეა. ეს იმიტომ, რომ იგი ფაქტიურად იმპერიების შექმნის და მათი ნგრევის ისტორიაა. იმპერიებს ძლიერი ეთნოსები და ერები ქმნიდნენ, სუსტები კი მათ მოხარკეებს მათზე დამოკიდებულ, მათ გავლენის სფეროში მყოფ ხალხებს შეადგენდნენ. წარმოიშვნენ და დაინგრნენ ისეთი უზარმაზარი სივრცისა და ძალის მქონე იმპერიები, როგორებიც იყვნენ: რომის, არაბეთის, მონღოლეთის, ოსმალეთის, ჩინეთის, რუსეთის, ინგლისის, ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, პორტუგალიის, ბელგიის და მრავალი სხვა. მე-11-12 საუკუნის საქართველოც იმპერია იყო ანუ გვქონდა ძლიერი სახელმწიფო და გვყავდა მრავალი სხვა მოხარკე და ჩვენი გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნები. აქვე ისიც უნდა აღინიშნის, რომ კულტურის, განათლების და ტექნიკის პროგრესიც ძირითადად იმპერიების დაფინანსებით და ძალისხმევით მიმდინარეობდა.

იმპერიების შექმნა, ფუნქციონირებაც და დანგრევაც დიდი და სისხლისმღვრელი ომებით ხდებოდა, ომი არის ბოროტება ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ, სამწუხაროდ გარკვეული ისტორიული ეპოქებისთვის იგი იყო აუცილებელი და მასტიმულირებელი ფაქტორი. შეიძლება ითქვას, რომ ომმა განავითარა, და მანვე ჩიხში შეიყვანა დღევანდელი მსოფლიო. ომი ანგრევს მატერიალურ ფასეულობებს, აპარტახებს მეურნეობას, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ომი ანგრევს ადამიანის სულიერ სამყაროს, მის ფსიქიკას, მორალურად აცარიელებს მთელ თაობებს, დეგრადირებამდე მიჰყავს ახალგაზრდა და სიმწიფის ასაკში მყოფი მილიონობით ადამიანი.

დღეს კაცობრიობას იმდენი მასობრივი მოსპობის იარაღი დაუგროვდა, რომ ასჯერ და მეტჯერაც შეიძლება მისივე განადგურება. რა ხდება? რამ გააცოფა ასე ადამიანი, რომ არაფერს ერიდება, მისივე მსგავსის მოსასპობადძნელი სათქმელია. ყოველგვარი წრეგადასული აგრესია მართლაც დევს მის გენეტიკურ კოდში. ბიოლოგიური საწყისისაა თუ სოციალური მოვლენაა და რაღაც ფასეულის მოსახვეჭადაა გამიზნული. ფაქტი ერთია, ომი ვიღაცას აწყობს, ვიღაცას კიდევ აძლევს რაღაცის მოხვეჭის საშუალებას, ხალხი კი მთლიანად წაგებული რჩება. მილიონობი იქვე იღუპებიან, სხვა მილიონები კი ნელი სიკვდილით კვდებიან, ერთეულები კი აურაცხელ სიმდიდრეს და მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს იხვეჭენ.

არცერთ ადამიანს დღეს საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ ბირთვული ომი პლანეტაზე ცივილიზაციას მოსპობს. ამ ფონზე პარადოქსულია, რომ პრობლემა მაინც არსებობს და დღეს წესრიგიდან არ იხსნება. ფაქტია, რომ ადამიანი ინერციით რაღაცას ვერ თმობს, რის გამოც საკუთარ არსებობასაც კი სასწორზე დებს. ძნელად ასახნელი ფენომენია, თითქოს და აზროვნებით ცხოველთა სამყაროზე მაღლა დავდექით, მაგრამ არცერთი ცხოველი მისივე მოქმედებით, მისსავე არსებობას საფრთხეს არ უქმნის.

გარდა ბირთვული ომისა, დღეს მსოფლიოს სხვა გლობალური პრობლებემიც აწუხებს. ესენია : ენერგეტიკის, ეკოლოგიის, დემოგრაფიის, სურსათის, მტკნარი წყლის, დანაშაულის, ტოქსიკომანიის...

თუ თითოეული მათგანი ყველა ჩვენთაგანმა არ გააცნობიერა და გაითავისა, ყველანი ერთად ჩავვარდებით გამოუვალ მდგომარეობაში და დავიღუპებით კიდეც. საბჭოთა კავშირის დაშლით, გამოირიცხა მსოფლიოში გლობალური დაპირისპირება და ამით პრაქტიკულად მოისპო ბირთვული ომის გლობალურად დაწყების საშიშროება, მაგრამ რჩება ლოკალური კონფლიქტები, რჩება მათი გლობალურში გადაზრდის საშიშროება. გარკვეული ძალები ექსტრემიზმით, ანუ შეურიგებლობით სუნთქავს. ბევრი მათგანი ექსტრემიზმით ამბიციებს იკმაყოფილებს ძალაუფლებას და სიმდიდრეს იხვეჭს, მიუფურთხებია ცივილიზაციისათვის და პლანეტისათვის. მისთვის მთავარია დაიკმაყოფილოს საკუთარი, გაუკუღმართებული მოთხოვნილება.

ომის უამრავი მიზეზი არსებობს, მათ შორის ძირითადი-ეკონომიკური, ეროვნული და რელიგიური ფაქტორებია. ყველა ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი თვითმყოფადობის განვითარების საშუალება. თუ ეს მას აქვს, სეპარატიზმის მიზეზი აღარ უნდა არსებობდეს. აქ საქმეში ერევა ამათუ იმ ფაქტორის დამახინჯება. მეტად სამწუხაროა, რომ არცთუ იშვიათად, საკუთარ ისტორიასაც ამბიციურად ამახინჯებენ, რის შედეგადაც ამა თუ იმ ერს უჩნდება გარკვეული პრეტენზიები, რაც კონფლიქტის მიზეზი ხდება.

არც ისე იშვიათია ე.წ. ტრადიციული მიზეზიცი - ის, რომ ახლო თუ შორეულ წარსულში ერთი ერი მართლაც იჩაგრებოდა მეორის მიერ. ისტორიას ვეღარც გადაწერ და ვეღარც გააუმჯობესებ. იგი უნდა მივიღოთ ისეთად, როგორიც იყო და არა ისეთად, როგორც გვსურს. ამასთან, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკა, მისი მოქალაქე სულაც არ არის პასუხისმგებელი, ვთქვათ, ოსმალეთის იმპერიის ისტორიულ ქმედებებზე. იგივე ითქმის ირანზეც, რუსეთზეც, ინგლისზეც, გერმანიაზეც. თუ ვეღარ შევიგნებთ, კვლავ ჩაირთვება კონფლიქტების ჯაჭვი, რომელსაც დასასრული აღარ ექნება.

ნამდვილი დემოკრატიის არსებობა ძირშივე გამორიცხავს ყოველგვარ კონფლიქტს. მოჩვენებითი ცრუდემოკრატია კი პირიქით, თვითონვე შიძლება გახდეს კონფლიქტის მიზეზი.

არსებობს ძალის ფაქტორიც. ერთს იგი მეტი აქვს, მეორეს ნაკლები. პირველს მის დასაგროვებლად უზარმაზარი ფინანსური საშუალებები ჩაუდვია და გამორიცხული არ არის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენოს. ამიტომაც, რეალურ ძალას ყოველთვის ანგარიში უნდა გაეწიოს. სხვაგვარად შეიძლება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ.

არსებობს და ფუნქციონირებს საერთაშორისო სამართალიც. იგი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად არის შექმნილი. საუბედუროდ, მას ხშირად ძლიერებიც არღვევენ და სუსტებიც. ეფექტური საშუალება მის დასაცავად კი პრაქტიკულად არ არსებობს. 70 საუკუნეზე მეტია, რაც ადამიანთა რესურსების უმთავრესი ნაწილი ომების მომზადებას და მათ წარმოებას ხმარდება. 70 საუკუნეა, რაც ადამიანი შენებასთან ერთად ნგრევის მექანიზმსაც სრულყოფს. ბოლოსდაბოლოს, ეს უკანასკნელი მან ისე დახვეწა, განავითარა და გააძლიერა, რომ თავისუფლად შეუძლია 70 სააუკუნის მანძილზე შექმნილი ცივილიზაცია 70 საათში ნაცარტუტად აქციოს, ყველაფერი ცოცხალი მოსპოს და გადააშენოს.

მითუმეტეს, უკვე დროა,ადამიანის რესურსები მიმართულ იქნას ომის გენიის წინააღმდეგ. იოლი არ იქნება 70 საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული სტერეოტიპების დარღვევა, მაგრამ სხვა გზა აღარ არსებობს–ცივილიზაცია უნდა გადარჩეს. ადამიანის შინაგანი და გარე რესურსებიც ექსტრემიზმის, ფუნდამენტალიზმის, შოვინიზმის, დოგმატიზმისა და ეგოცენტრიზმის წინააღმეგ უნდა იქნეს მიმართული. კაცმა კაცობრიობა უნდა იხსნას, გლობალური პრობლემების გადაჭრას გლობალურად აზროვნება სჭირდება. ეს უნდა გავაცნობიეროთ ყველამ– ვისაც კი გედმა გაგვიღიმა და დედამიწას ადამიანებად მოვევლინეთ.

გესიკ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

ლეგენდები თამარ მეფეზე

ჩვენმა კუთხემ სათუთად დაიცვა მოგონებები ქართველი ერის ბრწყინვალე „ოქროს ხანაზე“ (მე-**XII** საუკ.) არც ერთი მეფე - „მეფეთა შორის საკვირველება“, ისე პოპულარული, საყვარელი არ ყოფილა, როგორც თამარ მეფე. „დედოფლისწყარო“ - ასე ჰქვია ჩვენს მუნიციპალიტეტს, რაც მის სახელს უკავშირდება, მძლეთა-მძლე ციხე სიმაგრეს „ხორნაბუჯს“ - თამარის ციხეს ეძახდნენ, წყაროს წყალს „თამარის წყალს“ უძველეს საცხოვრისს (სოფ. სამრეკლოსთან) „თამარის გორას“, სოფ ოზაანში „ამაღლების“ ეკლესიის კედელზე გამოსახულია თამარ მეფის ფრესკა. თამარი გარდაიცვალა 1213 წლის 18 იანვარს. ქართველმა ერმა მრავალი ლეგენდა შექმნა თამარ მეფის საფლავის გარშემო. სიმართლე კი ასეთია: „ჯვაროსანი ფრანგი რაინდი დე-ბუას მიერ მე-**XIII** საუკუნის დამდეგს საფრანგეთში არქიეპისკოპოსისათვის გაგზავნილი წერილი... „ეხლა მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები, სარწმუნო ელჩების მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანები, რომელნიც („გეორგენებად“- ქართველებად) იწოდებიან, დიდძალი ცხენოსანი და ქვეითი ჯარი ღვთის შემწეობით აღფრთოვანებული და კარგად შეიარაღებული მიეშურება, რათა გაანთავისუფლოს იერისალიმის წმინდა მიწა-წყალი წარმართებისაგან. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია - (ლაშა-გიორგი) იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობით და სათნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვნია შვილისთვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და გადაუწყვეტია წმინდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართები თუ არა.“

ლალი გასილაშვილი, *მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი*

ერთი კადრი წარსულიდან

1960 წელი, ქალაქ წითელწყაროს მთავარი მოედანი. ფოტოს ავტორი: კახეთის რეგიონი, დაბა წითელ-წყარო (დედოფლისწყარო). ფოტო დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ხსოვნა

ზურა ქავთარაძე

ჩვენო მონატრებულო, საყვარელო ძმაო, ზურა, გილოცავთ 70 წლის იუბილეს იმიერში. უკვე მერვე წელია უშენოდ ვზეიმობთ შენს დაბადების დღეს. შენი შვილიშვილები აქრობენ შენს ნაცვლად ტორტზე სანთლებს, ჩვენ კი შენს საფლავზე შენს სურათთან ტკივილით და ცრემლით სავსე თვალებით გილოცავთ და ღმერთს შენი სულის განათლებას ვთხოვთ.

შენ ხომ ამ ქვეყნად კაცური კაცის სახელით იცხოვრე. ახლობლებს და მეგობრებს კარგად ახსოვთ შენი სიკეთე და გამორჩეული იუმორი. არ გივიწყებენ შენი შვილები და შვილიშვილები, რომლებიც ამაყად თავაწეულები, ღირსეულად აგრძელებენ შენს საქმეებს.

ნათელში იყავი, ძმაო იმ სამყაროში, სადაც სამუდამოდ გადასახლდი. ილოცე შენი ოჯახისთვის და ახლობლებისთვის.

შენი მონატრებული დები:
ლია, სონია, ჟუჟუნა

„ნეოლაბი“ — გიწვევთ!

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალში შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

პედიატრის, კარდიოლოგის, ინფექციონისტის, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

დერმატოლოგი – 21 თებერვალი

გასტროენტეროლოგი, გინეკოლოგი, ექოსკოპისტი – 22 თებერვალი.

კონსულტაცია ფასიანია *ჩაწერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:*

0 (356) 20 00 85 ან **596 39 20 00.**

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.

შინ, მშობლიურ დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროელებისთვის კარგად ცნობილი და ყველასთვის საყვარელი ეკა ექიმი მშობლიურ რაიონს რამოდენიმე ხნის წინ დაუბრუნდა.

ნევროლოგი **ეკა გონაშვილი** დაიბადა და გაიზარდა დედოფლისწყაროში, ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, ძვირფასი ადამიანების - ქ-ნი ნათელა და ბ-ნი გოდერძი გონაშვილების ოჯახში. ეკა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მოყვასისადმი განსაკუთრებული მზრუნველობით და ემპათიით გარშემომყოფთა მიმართ. გამოირჩეოდა ასევე კარგი სწავლითა და აღზრდით. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, რძალი და შვილიშვილი. თუ რა გზა გაიარა მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ამის შესახებ თავად გვიამბობს:

ეკა გონაშვილი, *რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკის ექიმი ნევროლოგი:* – „ჩემი და დედოფლისწყაროს კლინიკის ისტორია მუდმივად საწყისთან დაბრუნებას ჰგავს. თითქოს, სადაც არ უნდა წავიდე, ჩემი გული ყოველთვის აქ არის და ბოლოს ჩემი ყველა გზაც სწორედ აქ ბრუნდება. ასე მოხდა 4 თვის წინაც, როდესაც ათწლიანი განშორების შემდეგ მშობლიურ კოლექტივს და რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის სამედიცინო პროცესს დავუბრუნდი. სულ პირველი გადაკვეთა 2000 წელს იყო. დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში ნევროლოგად მაშინ 15 წელი ვიმუშავე. შემდეგ იყო გრძელი გზა - ჯერ თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში, შემდეგ კავკასიის მედიცინის ცენტრში, ჯეო ჰოსპიტალში, ისტორიულ რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ავერსის კლინიკაში. ამ მოგზაურობისას **სიმართლე გითხრათ, სულ ვიცოდი, რომ ახალ ცოდნას და გამოცდილებას დედოფლისწყაროს პაციენტებისთვისაც გამოვიყენებდი.**

დღე, როდესაც ათი წლის შემდეგ ისევ ამ კედლებში შემოვედი, სენტიმენტებით და გაორმაგებული პასუხისმგებლობით სავსე აღმოჩნდა. ისეთი შეგრძნებაც მქონდა, თითქოს არც წავსულვარ. ამ კოლექტივმა ჩემს პროფესიაში უდიდესი როლი ითამაშა და ასეა ახლაც.

მე დედოფლისწყაროში დავიბადე, გავიზარდე და მთელი ეს დრო რაიონთან წყვეტა არც მქონია, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები და ახლაც აქ არის მამა, რომლისთვისაც ჩემი სამუშაოდ დაბრუნება უდიდესი სიხარული იყო.

პირველ რიგში გადაუდებელი დახმარების არსებობა, რომელსაც რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს, რაიონისთვის სასიცოცხლოა. ასევე ის სახელმწიფო სერვისები და სამედიცინო მომსახურეობა, რომელსაც დედოფლისწყაროს ექიმები უზრუნველყოფენ.

ამის გარეშე დედოფლისწყაროში ცხოვრება უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. მიხარია, რომ ამ პროცესის ნაწილი ვარ, რადგან **ექიმობა სიღრმისეული პროფესიაა, რომელიც ჩემთვის ფიზიკურთან ერთად მკურნალობისას პაციენტის სულიერ მდგომარეობაზე ზრუნვას და პასუხისმგებლობასაც ნიშნავს**. აქვე აღვნიშნავ, რომ წლების მანძილზე დედაქალაქში გაწეულმა პრაქტიკამ გარკვეული გამოცდილება შემძინა, რაც ავტომატურად დაემატა ჩემს ცოდნას. ამ ყველაფერს დიდი მონდომებით მოვახმარ ჩემი რაიონის ძვირფას მოქალაქეებს. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში საშუალება გვექნება, ჩვენს თანამოქალაქეებს მაღალტექნოლოგიური კვლევებითაც მოვემსახუროთ,“ – განაცხადა „შირაქთან“ საუბარში ეკა ექიმმა.

დასასრულს, მინდა წარმატებები ვუსურვო ქ-ნ ეკას, მე კარგად ვიცნობ მას, როგორც საუკეთესო ექიმს და ასეთივე მოქალაქეს. მისი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობისას მოპოვებული მაღალი ავტორიტეტის შესახებ პირადად მაქვს ინფორმაცია თბილისში ცნობილი არაერთი ექიმისგან და მჯერა, კიდევ უთვალავი ადამიანის გამოჯანმრთელებას შეძლებს მშობლიურ მუნიციპალიტეტში.

ესაუბრა **ელზა ხარაშვილი**

ულოცავენ!

მაია გამხარაშვილს!

ჩემო ერთო, ერთადერთო, მზე ხარ, რომელიც მინათებს, მათბობს, მაბედნიერებს. შენ ხარ იმედი, ჩემი სიხარული, ცხოვრება, რომელიც სიცოცხლეს მიხანგრძლივებს. მიუხედავად ყოველდღიური კონტაქტისა, მაინც ძალიან მენატრები და მიყვარხარ.

დაბადების დღეს გილოცავ, შვილო, ჯანმრთელი და გახარებული ყოფილიყავი შენს შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, ვინც გიყვარს და ვისაც უყვარხარ. გკოცნი ბევრს.

დედა, *ლიანა გამხარაშვილი*

14 თებერვალი – წმინდა ვალენტინის დღე

ვალენტინობის დღის აღნიშვნა V საუკუნის რომში დაიწყო. მას მთელი ქრისტიანული სამყარო აღნიშნავდა. ახლა 14 თებერვალს, როგორც წმინდა ვალენტინის ოფიციალურ საეკლესიო დღესასწაულს, მხოლოდ პროტესტანტები აღნიშნავენ ლუთერანულ და ანგლიკანურ ეკლესიებში.

ლეგენდის თანახმად, მრისხანე კლავდიუსს მტკიცედ სწამდა, რომ მარტოხელა მამაკაცი, რომელსაც არც ოჯახი ჰყავდა და არც საყვარელი ქალი, უკეთ იბრძოდა და ემსახურებოდა სამშობლოს, ვიდრე დაოჯახებული და წვრილშვილიანი. ამიტომ კლავდიუსმა ქორწინება აკრძალა, მაგრამ ვალენტინი ამ წმინდა ქრისტიანულ საიდუმლო წესს რომის იმპერატორისგან მალულად მაინც აღასრულებდა. სიკვდილით დასჯის მოლოდინში მყოფმა, ზედამხედველის ქალიშვილი – ჯულია გაიცნო და გულში ჩაუვარდა. შეყვარებულმა მღვდელმა სიკვდილის წინ ქალიშვილს სასიყვარულო ბარათი მისწერა, რომელიც შემდგომში ვალენტინობის სიმბოლოდ იქცა. 269 წლის 14 თებერვალს წმინდა ვალენტინი სიკვდილით დასაჯეს. წმინდანი სიყვარულისა და ოჯახური კეთილდღეობის მფარველად ითვლება.

იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი შეთანხმებით ტელ: 595 32 47 61

იყიდება

ქალაქ დედოფლისწყაროში, გურამიშვილის ქუჩაზე იყიდება 600 კვ.მ. საკარმიდამო ნაკვეთი, ჩასხმულია სახლის საძირკველი. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით: 571 460 444, ილია.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 17.02		სამშაბათი 18.02		ოთხშაბათი 19.02		ხუთშაბათი 20.02		პარასკევი 21.02		შაბათი 22.02		კვირა 23.02	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	10°	–2°	9°	–2°	4°	–4°	0°	–6°	-1°	-8°	-1°	-8°	-2°	-8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „ლაბ კოლორი“-ს სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი